პარლამენტის უკან გაიმართა პროტესტი რუსული კანონის წინააღმდეგ, რომლის განხილვაც აქციის პარალელურად, პარლამენტის იურიდიულ კომიტეტზე მიმდინარეობდა.

აქციისა და სხდომის მსვლელობისას პარლამენტში ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. ოპოზიციონერი ალეკო ელისაშვილი, უმრავლესობის ლიდერ მამუკა მდინარაძეს ტრიბუნასთან დგომისას მოულოდნელად დაესხა თავს. ფიზიკური დაპირისპირების შემდეგ, ალეკო ელისაშვილმა პარლამენტის შენობა დატოვა და განაცხადა : „ეს კანონი არ უნდა გავატანინოთ.“

ოპოზიციონერმა დეპუტატებმა პარლამენტის აივანზე ევროკავშირის დროშა გადმოფინეს, რასაც აქტივისტების შეძახილები მოჰყვა - „არა რუსულ კანონს, ჩვენ ვირჩევთ ევროპას“.

პარლამენტში არ შეუშვეს უამრავი აკრედიტირებული მედია წარმომადგენლები. კითხვაზე თუ რატომ ვერ შეძლებდნენ კანონის პირველ მოსმენაზე დასწრებას, დაცვის სამსახურის წარმომადგენლების პასუხი ბუნდოვანი და გაუგებარი იყო.

„გამჭირვალობის“ კანონის საწინააღმდეგო აქციაზე მშვიდობიან აქტივისტებს შორის, რომლებიც პარლამენტის უკან დილის თერთმეტი საათიდან იყვნენ მობილიზებულნი, იმყოფებოდნენ სტუდენტები, ვეტერანები, მსახიობები და სპორტსმენებიც. საპროტესტო აქციის მიმართ მხარდაჭერას და რუსეთისადმი წინააღმდეგობას გამოხატავდნენ თბილისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეებიც.

მსახიობმა და ტელეწამყვანმა კახა კინწურაშვილმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ აუცილებელია ბრძოლა სიტყვის თავისუფლებისთვის, რადგან ყველა ადამიანს,

მიუხედავად იმისა, ვეთანხმებით თუ არა მას, ჰქონდეს გამოხატვის თავისუფლება. „ის საფრთხე რასაც ეს კანონი მოიტანს, რეალურია არა მარტო იმ სიტყვების გამო, არამედ იმ მიდგომის გამო, როგორც ამ კანონს აინიციირებენ და ხალხში ასაღებენ“ - განაცხადა კახა კინწურაშვილმა. „არა რუსულ კანონს, არა ამ ცუდ კანონს.“ - ამბობს მსახიობი გივიკო ბარათაშვილი და ახალგაზრდების ერთად დგომისკენ მოუწოდებს.

რუსული კანონის საწინააღმდეგო აქცია საღამოს შვიდ საათზე, პარლამენტის წინ გაიმართება.

აქ არის!
CAUCASUS UNIVERSITY